7745

პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
3 ოქტომბერი
1941 წ.
№ 234 (6239)
ფასი 15 კაპ.

კომუნიკე სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის მუშაობის დამთავრების შესახებ

სამი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომელიც მოსკოვში გაიხსნა 29 სექტემბერს, მუშაობა 1 ოქტომბერს დამთავრა.

კონფერენცია შესდგა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სტალინის სახელზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტის და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის ერთობლივი მიმართვის საფუძველზე და სტალინის მიერ გამოთქმული სურვილის შესაბამისად და, როგორც აღნიშნულ მმართველობა ნათქვამი, მიზნად ისახავდა გადაეწყვიტა საკითხი, „თუ როგორ აღმოეჩინოს უფრო უკეთ დახმარება საბჭოთა კავშირს იმ საუკეთესო წინააღმდეგობაში, რასაც იგი ფაშისტურ თავდასხმას უწევს“, აგრეთვე საკითხები „საერთო რესურსების განაწილებისა“ და „იმ რესურსების უკეთესად გამოყენებისა ჩვენი საერთო მეცადინეობისათვის რაც შეიძლება მეტი სამსახურის გაწევის მიზნით“.

სამი სახელმწიფოს დელეგაციები ლორდ ბივერბრუკის, ბ-ნ ჰარიმანისა და ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით თავის მუშაობის სრული ურთიერთგაგების, ნდობისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში ეწეოდნენ. ისინი აღფრთოვანებულნი იყვნენ მათს წინაშე მდგომი ამოცანის დიდი მნიშვნელობით — დახმარება გაეწიათ საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირული ბრძოლისათვის ყაჩაღური ჰიტლერული ფერმანიის წინააღმდეგ, რომელთან ბრძოლის წარმატებაზე არის დამოკიდებული ფაშისტური ურდოების მიერ დამორჩილებული ხალხებისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნების საქმე. ისინი აღფრთოვანებულნი იყვნენ სხვა ხალხთა ხსნის საქმის სიდიადით, რომელთაც ნაცისტები დამონებას ემუქრიანან.

კონფერენციამ, რომლის მუშაობაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ი. ბ. სტალინმა, წარმატებით შეასრულა თავისი მუშაობა, გამოიტანა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მის წინაშე დასმული მიზნების შესაბამისად და ცხადყო სამი დიდი სახელმწიფოს სრული ერთსულოვნება და მჭიდრო თანამშრომლობა მათს სარეთო ღონისძიებებში ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მოსისხლე მტერზე გამარჯვების მისაღწევად.

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე

ლორდო ბივერბრუკო, ბ-ნო ჰარიმანო, ბატონო დელეგაციის წევრებო და თანამშრომლებო!

ჩვენმა კონფერენციამ რამდენიმე დღეში წარმატებით ჩაატარა თავისი მუშაობა და მის წინაშე მდგომ ყველა საკითხზე ერთსულოვან გადაწყვეტილებას მიაღწია.

ამასთან დაკავშირებით, ნება მომეცით საბჭოთა დელეგაციის სახელით ვუთხრა ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებს, ყველა ექსპერტს და, უწინარეს ყოვლისა, ლორდ ბივერბრუკს და ბ-ნ ჰარიმანს, რომლებმაც ესოდენ გასაკუთრებული ენერგია, სურვილი და უსაზრო გამოიჩინეს ჩვენი კონფერენციის ამ პირველხარისხოვანი წარმატების მიღწევაში. კონფერენციის მთელ მუშაობაში ამხანაგ ი. ბ. სტალინის „ახლო მონაწილეობას“ კი შედეგად მოჰყვა ის, რაც საჭირო იყო ამ კონფერენციის წარმატებისთვისაც და საერთოსო შედეგებისთვისაც კონფერენციის შემდეგ. ამ დღეების განმავლობაში ჩვენ ყველას შესაძლებლობა გვქონდა დაგრწმუნებულიყავით იმაში, თუ რამდენად ძლიერ დაუახლოვეს ერთმანეთს ჩვენი ქვეყნები ჩვენი დიდი, თავისუფლებისმოყვარე ხალხების გადაწყვეტმა სასიცოცხლო ინტერესებმა და საერთო მისწრაფებებმა და მიიყვანეს ისინი მჭიდრო თანამშრომლობამდე. ეაჩაღებულ ისტორიულ ბრძოლაში ყაჩაღური ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც ცხოვრობს ხალხთა სისხლისა და დამონებითა და სხვისი ტერიტორიების მტაცებლური დაპყრობით.

ეს კონფერენცია შეიკრიბა ჩვენი დროის ბანალიერი სახელმწიფო მოღვაწეებისა—ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერის ბ-ნ ჩერჩილის ინიციატივით, რისთვისაც ჩვენ ორმა მადლობს ვუცხადებთ მათ. როგორც ცნობილია, კონფერენციის ინიციატორები მიზნად ისახავდენ თავიანთი მატერიალური რესურსებით დახმარებოდნენ საბჭოთა კავშირს ფაშისტური თავდასხმის წინააღმდეგ და საერთო ღონისძიებებით უზრუნველყოთ ჰიტლერიზმის დამარცხება. ამასთან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ნაცისტურ გერმანიასთან მეომარმა ინგლისმა, არამედ არამეომარმა, ქვეყანამაც—ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთნაირად აღიარეს როგორც ჰიტლერიზმის ლაკვდაცის აუცილებლობა, ისე იმის აუცილებლობაც, რომ ძარცვონ ევროპა, დაწყებული სფრანგეთით, რომელზეც ისინი მეორე წელია ძალადობენ, და გათავებული ბულგარეთით, რომელიც ბულგარეთის მმართველთა ნებაასურველით მოგზაურებენ ჩვენი ძველი ბრძოლის დიდ მნიშვნელობას სულ უფროდაუფრო აღიარებენ მთელი პოფლიოს ხალხები. დადგება დრო და ხალხები ეტყვიან თავის საფეძველად სტუყვას საბჭოთა კავშირის მე განმათავისუფლებელი როლის შესახებ, რასაც დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ასრულებს ახლა სსრ კავშირი არა მარტო ევროპის ხალხთა განთავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ მთელი პოფლიოს ხალხთა თანისუფლების ინტერესებისათვისაც და რომელსაც დღესაც ასე ფაროთად აღიარებენ წარმომადგენლები მეგობარი ქვეყნებისა, რომელთა დახმარება ჩვენთვის ასე გასაგები და ასე ძვირფასია.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა სისხლშოწყურებულ ჰიტლერელთა ურდოების არიერი თავდასხმა განიცადეს და ჩვენ ამ ბრძოლაში უკვე ცოტა მსხვერპლი როდი გვიქვს გაღებული. მაგრამ ამ ბრძოლაში ჩვენი ნებისყოფა კი არ შერყეულა, არამედ მძლავრად განმტკიცდა. ჩვენი არმიები, ყველა სიძნელის მიუხედავად, ფაშიზმთან ბრძოლებში მრისხანე ძალად იქცევიან, რომელიც დაიცავს თავს, რომელიც დაიცავს თავის საქმეს, თავისი ხალხის თავისუფლებას, თავის საბჭოთა ქვეყანას. ჰიტლერულ გერმანიასთან ჩვენს ბრძოლას უკვე ბაღალ შეფასებას აძლევენ სხვა ხალხები, რომლებიც ბუნებრივად ხედავენ მასში ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საერთო საქმისათვის ბრძოლას, და ამიტომ არის, რომ ასე ეზრდება თავისუფლებისმოყვარე ხალხთა თანაგრძნობა და აქტიური მხარდაჭერა ჩვენი ბრძოლისადმი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის სახელით და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მსურს დავუწუნო დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, რომ ჩვენი ნებისყოფა ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისა შეიდრეკელია და რომ ჩვენი ერი ასეთი ძალა, რომელიც ბანერს ამ ანტიჰიტლერულ ფრონტს, რომ, ბოლოსდაბოლოს, ჰიტლერიზმის წინააღმდეგ შექმნილია ისეთ სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლებიც ვამონახავენ გზებსა და საშუალებებს, რათა მოსპონ ნაცისტური ჩირქიანი მუწული ევროპაში და მისი მუქარა ყველა ხალხისათვის, რომლებსაც უყვართ თავიანთი დამოუკიდებლობა და თავიანუფლება.

საბჭოთა კავშირი წლად ხედა ძმიმე ამოცანა განეცადა ჰიტლერულ დამპყრობელთა ყველაზე ძმიმე და სიასლიანეოვნეო დარტყმები. ჩვენ ვხედავთ, რომ ჰიტლერიზმთან ჩვენი ძნელი ბრძოლის დიდ მნიშვნელობას სულ უფროდაუფრო აღიარებენ მთელი პოფლიოს ხალხები. დადგება დრო და ხალხები ეტყვიან თავის საფეძველად სტუყვას საბჭოთა კავშირის მ განმათავისუფლებელი როლის შესახებ, რასაც დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ასრულებს ახლა სსრ კავშირი არა მარტო ევროპის ხალხთა განთავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ ამერიკის ხალხთა თანისუფლების ინტერესებისათვისაც.

ჩვენი კონფერენცია შეეა ჰიტლერის — ხალხთა ამ მკვლელის განადგურებისთვის ბრძოლის ხელოვნურ ისტორიაში. საკმარისი არ არის გძლოდეს ყველა ეს ჰიტლერები, გერინგები, რიბენტროპები, საკმარისი არ არის ისურვო მათი დალუპვა, არამედ საჭიროა ისწავლო დასცხო და ანადგურო ისინი ყველგან, სადაც თავს ეს ხმიან და ძალადობენ, რათა საბოლოოდ მოეღოს ბოლო მოძალადე დამპყრობთა ამ დანაშაულებრივი ხროვის ბატონობას, რომლებსაც თავს დაატყდათ ხალხთა წყეულ-კრულვა. ამის მისაღწევად განსაკუთრებით საჭირო იყო ჩაგვეშალა მათი ბარაგუდები, რომელთა მარტივი აზრი ის არის, რომ ცალ-ცალკე, ერთი-მეორეზე მოსპონ თავიანთი მოწინააღმდეგენი. კონფერენციის პოლიტიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან გვიჩვენა, თუ „როგორ გადაჭრით იფუშება ახლა ეს ზრახვები ჰიტლერელებისა, რომელთა წინააღმდეგაც ამერიკიან დელეგაციის თავმჯდომარე შექმნილია თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მძლავრი ფრონტი საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. საბჭოეთიოთა ასეთ მძლავრ გაერთიანებასთან გთავეხდეთ ჰიტლერს ჯერ კიდევ არა ჰქონია საქმე, ასეთი მძლავრი ძალის წინააღმდეგობა მას ჯერ კიდევ არ განუცდია. ჩვენ ეჭვი არ შეგვლის ამაში, რომ ჩვენი ერიდი ანტიჰიტლერული ფრონტი სწრაფად განმტკიცდება და რომ არ არის ისეთი ძალა, რომელიც გასტეხს ამ ანტიჰიტლერულ ფრონტს, რომ, ბოლოსდაბოლოს, ჰიტლერიზმის წინააღმდეგ შექმნილია ისეთ სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლებიც ვამონახავენ გზებსა და საშუალებებს, რათა

ბ-ნ ჰარიმანის სიტყვა

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე

ბ-ნმა ჰარიმანმა ვუშინ, 1 ოქტომბერს, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე თავისი სახელით და ლორდ ბივერბრუკის სახელით შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა წარმომადგენლების მოსკოვის კონფერენცია

კონფერენციის დელეგატები ამ ინსოფის იყვნენ წარმოგზავნილნი, რომ განეხილათ საკითხი, თუ რა მოთხოვნილება აქვს ლენინის სახელმწიფოებრივ მებრძოლ საბჭოთა კავშირს მომარაგების მხრივ, რომელიც უნდა მიაწოდონ მას შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა.

კონფერენცია, რომელიც შესდგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, ბ-ნ მოლოტოვის თავმჯდომარეობით, თავის მუშაობას, ორმაბაბიდან დაწყებული, განუწყვეტლივ ეწეოდა. კონფერენციამ განიხილა საბჭოთა მთავრობის გამოკვლევა ინგლისისა და ამერიკის რესურსების საკითხი შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის საწარმოო შესაძლებლობასთან შეხამებით.

კონფერენციაზე გადაწყდა—გადაცემულ იქნას საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში პრაქტიკულად ყოველივე ის, რის შესახებაც საბჭოთა სამხედრო და სამოქალაქო ორგანოებმა მოთხოვნილებანი წარმოადგინეს. საბჭოთა მთავრობა დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს ამარაგებს დიდძალი ნედლეული მასალით, რის გადაუდებელ საჭიროებასაც ეს ქვეყნები განიცდიან.

მთლიანად არეს განხილული სატრანსპორტო შესაძლებლობათა საკითხი და შეჰპუპეებული ყველა მიმართულებით ტვირთნაკადის მოცულობის გადიდების გეგმები.

ბ-ნმა სტალინმა დაგვავალა მე და ლორდ ბივერბრუკს გადავცეთ მისი მადლობა შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს ნედლეული მასალის, ჩარეულისა და საჭიროების ეს ბაღალ მიწოდებისათვის. ეს დახმარება დიდსულოვნერია და საბჭოთა ძალებს შესაძლებლობა ეძლევა დაუყოვნებლივ განამაკიცონ თავისი თავდაცვა და განავითარონ ენერგიული ეერაშრნი შემოქმედი არმიების წინააღმდეგ.

ლორდი ბივერბრუკი და მე ჩვენი მთავრობების სახელით ვადასტურებთ საბჭოთა მთავრობისადან რუსეთის ნედლეულ მასალების დიდი რაოდენობით მიღებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საჭიროების წარმოებას ჩვენს ქვეყნებში.

ჩვენ აღენიშნავთ იმ გულითადობას, რომლითაც გამსჭვალული იყო

მოსკოვზე გერმანიის თვითმფრინავეგბის. თავდასხმის ცდა

2 ოქტომბერს ღამით გერმანიის თვითმფრინავების ჯგუფმა ერთიულად სცადა თავს დასხმოდა მოსკოვს. საზენიტო არტილერიის ცეცხლით და ღამის აეიაგამშვებელ

თავდაცვის ფონდში

1-ლი ოქტომბრისათვის, მოსკოველებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 61.268.687 მანეთი ნაღდი ფული და 10.037. 640 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები. გარდა ამისა, სახელმწიფო ბანკს

სსრ კავშირის სახალხოსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგ ი. ბ. სტალინმა

სადილი გამართა სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენციის ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების პატივსაცემად.

სადილს დაესწრნენ: ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე ლორდი ბივერბრუკი, ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარე ბ-ნი ჰარიმანი, ინგლისის ელჩი ბ-ნი ს. კრიპსი, ამერიკის ელჩი ბ-ნი ლ. შტეინჰარდტი, ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების ყველა წევრი და უქსპერტი, აგრეთვე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ი. შახურინი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ა. ი. ვიშინსკი, საბჭოთა ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში კ. ა. უმანსკი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მთელი რიგი პასუხისმგებელი თანამშრომლები და ინგლისისა და ამერიკის საელჩოთა თანამდებობის პირნი.

სადილმა მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 ოქტომბრის ღილის ცნობა

1 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მტერთან ბრძოლებს მთელ ფრონტზე.

• • •

2 ღლის საპაერო ბრძოლაში ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფმა ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ჩამოაგდო ფაშისტთა 13 თვითმფრინავი. მტრის აეროდრომებზე მოსპობილია 11 და დაზიანებულია 15 თვითმფრინავი. ყუმბარების პირდაპირი მოხვეედრით დაზიანებულია 12 საზენიტო და 10 საველე ქვემეხი.

• • •

უმცროს ლეიტენანტ გრეჩიშკინს ყუმბარმაფეთნა როგოლა იერიში მიიტანა გერმანელთა აეროდრომზე ს-ს რაიონში. ყუმბარების ზუსტი მოხვედრით მოსპობილ იქნა მტრის 10 თვითმფრინავი. გერმანელთა ერთი ავიაგამანადგურებელი დაზიანებულ იქნა აეროდროომიდან აფრენის დროს.

• • •

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოქმედმა ერთმა ჩვენმა ქვეითმა ნაწილმა წარმატებით მოიგერია მტრის იერიში და ბნონშელოვანი ზარალი მიაყენა მას. მტერმა 400-მდე კაცი დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ფაშისტებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს დიდძალი იარაღი და სამანი მასალა. ფრონტის ამ მიმართულების მეორე უბანზე მეთაფერ კონკოვის ნაწილმა ფაშისტებთან შედგარ ბრძოლაში ხელთ იგდო 17 დაზგის ტყვიამფრქვევი და დააზიანა მტრის 6 ტანკი. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დაატოვეს 200-მდე მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

პოლკოვნიკ ფროლოვის ნაწილმა საგრძნობი ზარალი მიაყენა გერმანელთა 291-ე ქვეითი დივიზიის 506-ე პოლკს. მტერმა 600-ზე მეტი კაცი დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მოსპობილ იქნა გერმანელთა 2 ტანკი, 2 ტანკეტი, 8 ქვემეხი და ცხენის ალაფი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელი იგდეს დიდძალი დაზგის ტყვიამფრქვევი და სამანი მასალა.

• • •

პარტიზანთა რაზმები ფაშიზეიდებელ დახმარებას უწევენ ოდესის ეგრ დამცველებს. პარტიზანული რაზმების მებრძოლები საგრძნობ ზარალს აყენებენ გერმანელთა და რუმინელთა ჯარების ზურგს. პარტიზანული რაზმი ამხ. კ-ს მეთაურობით სექტემბრის განმავლობაში 18-ჯერ დაესხა თავს მტრის კოლონებს, რომლებიც ოდესის ფრონტზე მოდიოდნენ. ფაშისტებთან ბრძოლაში პარტიზანებმა მოსპეს მტრის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და

2 ოქტომბრის ღაღამის ცნობა

2 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

30 სექტემბრის განმავლობაში მოსპობილია მტრის 20 თვითმფრინავი. ჩვენ 9 თვითმფრინავი დაკარგეთ.

• • •

ორი ღღის შეუპოვარ ბრძოლაში ჩვენმა ჯარის ნაწილებმა სერიოზული ზარალი მიაყენეს მტერს ფრონტის სამხრეთ-დასავლეთ მიმართულების ერთერთ უბანზე. ბრძოლის ველი მოფენილია მტრის ჯარისკაცთა გვამებით, დამსხვრეული ტანკებით და ქვემეხებით. ორი ღღის განმავლობაში მტერმა მოკლულთა სახით დაკარგა 2.700 ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წამოყვანილ იქნა 500 კაცი. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს სხვადასხვა ჯაღლობის 41 ქვემეხი, 16 ტანკი, საწინააღმდეგო ზარბაზანი, 17 ნაღმსატყორცანი, 92 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ტანკი და სამხრი მასალების დიდი რაოდენობა.

• • •

ფრონტის დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე კაპიტან კონდრატენკოს ქვედანაყოფის მებრძოლებმა მოსპეს გერმანელების 12 ტანკი, 8 ჯავშნიანი მანქანა და ხელთ იგდეს მრავალი ქვემეხი.

• • •

ორი ღღის განმავლობაში ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა კუნძულ ეზელზე ჩამოაგდეს მტრის 10 თვითმფრინავი.

• • •

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით კ-ს რაიონში ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფი წარმატებით დაესხა თავს მტრის მოტორიზებულ ჯარებს. თავდასხმის შედეგად მოსპობილია გერმანელთა 10 ქვემეხი, საზენიტო არტილერიის 3 წერტილი, სამარი მასალებით ღატვირთული 35 ავტომობილი, ცხენის ფიდი აღალი სამხედრო საქონელით, გერმანიის ქვეითი ჯარის ერთ ასეულამდე და ცხენოსანთა რეგული.

• • •

ჩერნიგოვის ოლქის პარტიზანებმა სექტემბრის მეორე ნახევრის განმავლობაში აოვეთქეს 11 ხიდი, მოსპეს გერმანელთა 19 ტანკი, 6 ჯავშნიანი მანქანა და სამამრი მასალებით ღატვირთული 69 ავტომობილი. პარტიზანთა რაზმებმა ხელთ იგდეს ან მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე ქვემეხი, მრავალი დაზგის ტყვიამფრქვევი, 98 მოტოციკლი, დასწვეს 12 ცისტერნა საწვავიანად და საარტილერიო ჯურვების 2 საწყობი. ამავე ხნის განმავლობაში პარტიზანებმა მოჰკლეს და დაჭრეს 450-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

უკანასკნელი ღღეების განმავლობაში ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ტყვედ წამოყვანილია დიდი ჯგუფი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, რომლებიც ამსაზრნათ აღმოსავლეთის ფრონტზე საფრანგეთიდან გადმოიყვანეს. ძმიმე საარტილერიო პოლკის ლეიტენანტმა ერნსტ ლიბერმა აჩვენა: „1940 წლის ზაფხულიდან ჩვენი ძმიმე ქვემეხების ბატარეა ლა-ანანშის ნაპირზე ლეტრეპორში იდგა. სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩვენი ბატარეის ყველა ძმიმე ქვემეხი დატვირთულ იქნა ბაქნებზე. ფამილიტელ ქვემეხთა ადგილზე ღამით დადგეს მოძველებული ტიპის ქვემეხები, რომლებიც ხელთ გვეფდო ბელგიასა და ჰოლანდიაში. გზაში ბევრი სხვა ბატარეებიც ვნახეთ, რომლებიც აგრეთვე გადმოჰყავდათ რუსეთის ფრონტზე. ყველაფერი იმის მოწმობს, რომ საფრანგეთში უმთავრესად დატოვებულია საზენიტო არტილერია, ისიც საგრძნობლად შესუსტებული. რაც შეეხება საველე და საციხოსენ არტილერიას, იგი ძალიან ცოტა დარჩა“.

51-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცმა ჰეინეს კენიგმა განაცხადა: „მხოლოდ ათი ღღეა, რაც ჯარისკაცთა ეშელონთან ერთად ვალანსიენიდან აღმოსავლეთის ფრონტზე მოვედი. ჯერ კიდევ თვენახევრის წინათ გარნიზონის ჯარისკაცებს ჩამოართვეს ყველა ავტომატი, ვარგისი ბაშხანები და შეეცვალეთ ძველი ბაშხანებით. ასეთი „ხელკეტებით“. როგორც ჩვენი ჯარისკაცები ამბობენ, ახლა შეიარაღებულია საფრანგეთის ქალაქებში მყოფი მრავალი გერმანელი ნაწილი“. გერმანიის 416-ე ქვეითი პოლკის ეფრეიტორმა ბრუნო ბეჩრმა აჩვენა: „აგვისტოს შუა რიცხვებამდე მე და ბევრი ჩემი ამხანაგი ვმსახურობდით ალანსონის გარნიზონში, ჩრდილოეთ საფრანგეთში. 20 აგვისტოს ჩვენი ასეულის ასზე მეტი ჯარისკაცი გამოგზავნილ იქნა აღმოსავლეთის ფრონტზე. აღმოსავლეთისკენ ჩვენი გამოგზავნების დღეს ალანსონში ჩამოვედ 30 დაჭრილი ჯარისკაცი, რომელთაც დაეკისრებათ საგარნიზონო სამსახური“.

• • •

დანის ქვეყნის მრეწველობის ქარხნებში, რომლებიც გერმანიის არმიისათვის მუშაობენ, სექტემბრის მეორე ნახევარში მკვეთრად იმატა საპოტაჟისა და დივერსიების აქტებმა. კოპენჰაგენსა და ოდენსში გერმანელთა საწყობებში გაჩენილ ხანძართა შედეგად მოსპობილია სპარტს, შაქრისა და ხორცის კონსერვების დიდი მარაგები. ოლბორგის სპირტის ქარხანაში მოხდა აფეთქება, რომელიც ამა პროდუქციის საწყობში ხანძარი გამოიწვია. ყველა საწარმოში შემჩნეულია შრომის ნაყოფიერების მკვეთრი დაცემა და პროდუქციის გაზრდის გაფუქება.

დანიის გერმანულ-ფაშისტური პრესა ეედარ ფარავს გერმანიაში გასაგზავნი პროდუქციის გაფუქების მრავალრიცხოვან ფაქტებს. შაქრის დიდი პარტია, რომელიც ამ დღეებში გერმანიაში ჩაიტანეს, დასველებული და მარილშერეული აღმოჩნდა. სექტემბრის მარტო 15 ღღის განმავლობაში გერმანელებმა გაფუქებულ კონსერვებით დატვირთული რამდენიმე სარკინიგზო შემადგენლობა მიიღეს. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ხელისუფლებმა დაუპატიჟეს შაქრისა და კონსერვების ქარხნების მრავალი მუშა. ამის საპასუხოდ დანელმა პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადაადგეს გერმანიის არმიისათვის გასაკეთებელი შაქრისა და კონსერვებით დატვირთული სარკინიგზო შემადგენლობა.

• • •

ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლეეტრნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით უყოიან მტაცეცა სფფეყველს მომავალი წლის მოსავალს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მინდვრებზე ფართო ფრონტით გაეშალა მზრალად ხვნის სამუშაოები, კოსანოდარის მხარის ულტიბინსკაიას რაიონში უკვე „მოხნულია 20 ათასამდე ჰექტარი. ამ რაიონის 10 კოლმეურნეობამ შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა და ამეამად გეგმის გადამტებით გაგრძობს ხვნას. ფრუზეზეს სახელობის არტელის კოლმეურნეებმა გეგმის გადამეტებით მოხნეს 50 ჰექტარი, ბუდიონნის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა—200 ჰექტარი. შრომითი მამაცობის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან ტრაქტორისტები. ტრაქტორისტი ეფიმ ციმბალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საწარმოო მიღწევებით, ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით შევეგებოთ დიდი ოქტომბრის XXIV წლისთავს!

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოთა ყველა მუშას, მუშა-ქალს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს

სამ თვეზე მეტ ხანს გრძელდება საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ. გერმანელი ფაშისტი ბარბაროსები, რომლებმაც ევროპის მრავალი ხალხი დაიმონეს, ისწრაფვიან დაანგრიონ ჩვენი თავისუფალი და ბედნიერი ქვეყანა, მოსპონ საბჭოთა ხელისუფლება, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად გადააქციონ საბჭოთა ადამიანები.

ფაშისტი არამზადების სისხლისმღვრელი ზრახვები არასოდეს არ განხორციელდება!

საყვარელმა სტალინმა მოგვიწოდა — ყველაფერი ფრონტის ინტერესებს დავუმორჩილოთ, უზრუნველვყოთ ყველა საწარმოს გაძლიერებული მუშაობა, დავამზადოთ მეტი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი, ვაზნა, ყუმბარა, თვითმფრინავი, ტანკი; ამ მოწოდების პასუხად აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა, ახალი ძალით იზრდება და ვითარდება სტახანოვური მოძრაობა, რაც ცხადჰყოფს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს სიძლიერის დაუშრეტელ წყაროებს.

იმ დროს, როდესაც ფაშისტური გერმანიის ადამიანთა რეზერვები და მატერიალური რესურსები ილევა, წითელი არმიის ძალები განუხრელად მატულობს, იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება, მრავლდება მის მოკავშირეთა და მეგობართა რიგები. ისტორია მოწმობს, რომ ყოველთვის ისეთი სახელმწიფოები და არმიები იმარჯვებდნენ, რომელთა ძალებიც ომის მსვლელობაში მატულობდა, ხოლო მარცხდებოდნენ ისეთი სახელმწიფოები და არმიები, რომელთა ძალებიც ომის მსვლელობაში ილეოდა და კლებულობდა.

ძვირფასო ამხანაგებო! სამამულო ომის მრისხანე დღეებში მუშები და მუშა-ქალები, კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, საბჭოთა ინტელიგენცია გვიჩვენებენ, რომ ისინი მზად არიან უზრუნველჰყონ ფრონტი ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება.

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ჩვენი პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხანა თვე და თვე, დღე და ღამე საღღეღამისო გრაფიკით მუშაობს. ამასთან გეგმას მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს; 23 სექტემბერს ქარხანამ შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სექტემბრის გეგმა.

ასე მჭიდროდ დარაზმულნი ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ. თვითეული თავის პოსტზე მთელ ძალასა და ღონეს ახმარებს იმას, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს თავდაცვითი დაკვეთები და საწარმოს მთელი გეგმა. ბევრნი თავიანთ სამუშაო ადგილას რჩებიან 2 და 3 ცვლის განმავლობაში.

თითქმის მთელი წელიწადია ქარხანა რითმულად მუშაობს. პროდუქციას უშვებს თანაბრად და იმ რაოდენობით, რომელსაც ჩვენი სამშობლოს ინტერესები მოითხოვს. ომის დღეებშიც, როდესაც ბევრად გართულდა ქარხნის წინაშე მდგომი ამოცანები, ჩვენი კოლექტივი, რომელსაც ახსოვს XVIII სრულიად-საკავშირო პარტკონფერენციის დირექტივები, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა წარმოების რითმული მსვლელობა არ დარღვეულიყო. ამ დღეებში საღღეღამისო გრაფიკს ახალი განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ქარხნის ყოველ მუშაკს საბრძოლო ბრძანებად მიაჩნია საღღეღამისო დავალება.

ჩვენი გამომგონებლებისა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი აზრი სდუღს და გადმოდის.

ძვირფასო ამხანაგებო! ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავი. ჩვენს ქვეყანაში მშვენიერი ტრადიცია გვაქვს—საწარმოო მიღწევებით ვეგებებით ხოლმე ამ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს. **სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით, წარმოების მოცულობის გაფართოებით, ფრონტისადმი ჩვენი დახმარების გაძლიერებით აღვნიშნოთ ოქტომბრის XXIV წლისთავი.**

ამხანაგებო, ჩაებით წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში!

დაე, დამატებით გამოშვებული პროდუქცია სასიკვდილო ლახვრად ეცეთ მხეც ფაშისტ უწმინდურთ! ნორმების ერთიორად და ერთისამად შესრულებით დავეხმაროთ წითელ არმიას მტრის დამარცხებაში!

ჩვენ ვკისრულობთ:

1. მეოთხე კვარტალის გეგმა ვადამდე — 24 დეკემბრისათვის შევასრულოთ.
2. ოქტომბრის დავალება სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მხრივ ვადაზე სამი დღით ადრე შევასრულოთ.
3. პროდუქცია ჩავაბაროთ ზუსტად საღღეღამისო გრაფიკის მიხედვით, მოცემული ნომენკლატურის შესაბამისად.
4. შრომის ნაყოფიერების ოქტომბრის დავალება 18 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულოთ.
5. მივაღწიოთ იმას, რომ 7 ნოემბრისათვის ქარხანაში არ იყოს არც ერთი მუშა, რომელიც დადგენილ ნორმებს არ ასრულებდეს, რომ ყოველი მუშა და მუშა-ქალი გამომუშავების ნორმას გადაჭარბებით ასრულებდეს.
6. გავაძლიეროთ ბრძოლა ლითონის, ინსტრუმენტის, სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა სახის დამხმარე მასალის მომჭირნედ ხარჯვისათვის, მარტო ამით საგეგმო დავალების 5 პროცენტის გადამეტებით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება ოქტომბერში; ოქტომბერში სულ ცოტა 20 პროცენტით შევამციროთ წუნით გამოწვეული ზარალი.
7. მოვიზოგოთ ოქტომბერში სულ ცოტა მილიონნახევარი მანეთი რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მიერ წარმოდგენილ წინადადებათა რეალიზაციის გზით.
8. 1 ნოემბრისათვის მოვამზადოთ რამდენიმე ასეული მუშა, რომლებიც დაეუფლებული იქნებიან სხვადასხვა სპეციალობას.

წინასაოქტომბრო შეჯიბრება მძლავრი საშუალება უნდა გახდეს მეოთხე კვარტალში ახალ საწარმოო წარმატებათა მისაღწევად. დაე, ნუ იქნება ნურც ერთი საწარმო, რომელიც გეგმას არ შეასრულებს ყოველი მაჩვენებლის მიხედვით და, უწინარეს ყოვლისა, ფრონტის შეკვეთების მხრივ.

დაუშრეტელია ძალა და შეურყეველია ნებისყოფა ჩვენი ხალხისა გამარჯვებისადმი. ახლოა ჟამი მტრისადმი ულმობელი შურისგებისა ჩვენი შეგინებული დედებისა, ცოლებისა და დებისათვის, ნაგვემი და ნაწამები ძმებისათვის, გადამწვარი და გაძარცული ქალაქებისა და სოფლებისათვის. ახლოა ჟამი მკაცრი საზღაურისა! სისხლს სისხლისა წილ, სიკვდილს სიკვდილისა წილ ზღავენ ფაშისტი მტარვალები მთელი თავისი საზიზღარი საქმეებისათვის.

მტერი მოსპობილ იქნება! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

გაუმარჯოს საბჭოთა პატრიოტების წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ჩვენს სახელოვან მხედართმთავარს, გამარჯვებათა ორგანიზატორს — საყვარელ სტალინს!

(განხილული და მიღებულია ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის 1-ლი სახელმწიფო საკისარის ქარხნის ყველა საამქროს და განყოფილების მუშათა და მუშა-ქალთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრებებზე).

„პრავდა“, 1 ოქტომბერი.

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ პროლეტარულ დღესასწაულს

ახლოვდება დიდი პროლეტარული რევოლუციის XXIV წლისთავი. ჩვენში ტრადიციად გადაიქცა ამ დღის აღნიშვნა ახალი გამარჯვებებით. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ახლა, როცა საბჭოთა ხალხი დიდ სამამულო ომს აწარმოებს მუხანათი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ებმება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულებას იღებს 20 ნოემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ პასუხსაგები დავალებების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას იმ ანგარიშით, რომ ასეთი დავალება ყოველთვიურად 120 პროცენტით მაინც სრულდებოდეს. პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ 2 პროცენტით, ხოლო ქსოვილის ნახვეწს 1 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოება 100.000 მანეთის დანაზოგს მიიღებს.

ფაბრიკის ინჟინერ-ტექნიკოსები და სტახანოველები კისრულობენ წარმოებაში დანერგონ 30-მდე ახალი რაციონალიზატორული წინადადება, რაც კიდევ უფრო აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

ჩვენ 110-მდე ორასოვანი გვყავს. ყველა იცნობს ორასოვან ზეინკალს ამხ. მეავანაძეს, მექანიკოსს ამხ. ბარანოვს, მღებავს ამხ. წვერავას და სხვ. ისინი 200 პროცენტით და უფრო მეტად ასრულებენ საწარმოო დავალებებს. მთლიანად ორასოვანია მექანიკური საამქრო, რომელსაც ამხ. თევდორაძე ხელმძღვანელობს. ბევრი ორასოვანი ჰყავს აგრეთვე სამღებრო-საპრეტურო საამქროს, რომლის უფროსია ინჟ. ჩიქოვანი. ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ფაბრიკას არცერთი ჩამორჩენილი მუშა არ ჰყავდეს, გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდეს ყოველ საამქროში, ყოველ ცვლაში, ყოველ დაზგაზე.

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავს, მივცეთ ფრონტს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია,—ასეთია ჩვენი წინასაოქტომბრო ვალდებულებანი, რაც უეჭველად შესრულებული იქნება.

შ. სიმონიშვილი
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორი.

ი. ზაქარეიშვილი
ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, თემთა პალატის სხდომაზე, რომელზედაც იხილავდნენ სამხარი საჭიროებისათვის დამატებითს ასიგნობას ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, სამხარი მდგომარეობის მიმოხილვა გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა.

ჩერჩილმა გაიხსენა ა. წ. დამდეგს ჰიტლერის მიერ გაკეთებული განცხადება, გაზაფხულზე დაიწყება სერიოზული საწყალქვეშო და საჰაერო ომი, რომლითაც გერმანია გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწევს, და მარტსა და აპრილში დაიწყება ისეთი საზღვაო ომი, „როგორსაც მოწინააღმდეგე არასოდეს არ მოელოდაო“. გერმანელებმა, მართლაც, გამოიყენეს გაცილებით მეტი წყალქვეშა ნავი, ვიდრე წინათ, და შორი მოქმედების თვითმფრინავები ინგლისის ნაოსნობის წინააღმდეგ. მაგრამ თავის დროზე ფართო მასშტაბით გამოყენებული საწინააღმდეგო ღონისძიებანი ძალიან წარმატებული აღმოჩნდნენ. ინგლისისა და მოკავშირე ფლოტების, აგრეთვე ნეიტრალური ქვეყნების ფლოტების დანაკლისი ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში მხოლოდ მესამედს უდრის იმ დანაკლისისას, რაც მათ აპრილის, მაისისა და ივნისის პერიოდში განიცადეს. ამავე ხნის განმავლობაში გერმანიისა და იტალიის ფლოტების დანაკლისი ერთნახევარჯერ გაიზარდა წინანდელი კვარტალის დანაკლისთან შედარებით. ინგლისმა დაკარგა გემთა უმნიშვნელო რიცხვი სამარი მასალებითურთ.

ამჟამად მას სურსათის მეტი მარაგი მოეპოვება, ვიდრე ომის დაწყებისას ჰქონდა, და გაცილებით მეტი მარაგი, ვიდრე ერთი წლის ან 18 თვის წინათ ჰქონდა.

მალე შეემატება მწყობრს დიდძალი ახალი გემი, რომელიც ამერიკაში შენდება. ეს გემები, საკუთარ შევსებასთან ერთად ინგლისს საშუალებას მისცემენ შეასრულოს ის ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დგას 1942 წელს. ამასთან ერთად ჩერჩილი გაფრთხილებას იძლევა, წყალქვეშა ომის გაძლიერებას უნდა მოველოდეთო.

შეეხო რა „მომავლის სტრატეგიის“ საკითხებს, ჩერჩილმა ხაზგასმით აღნიშნა: სწორედ ამ საკითხების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო შესაძლებლად არ მიმაჩნია მათ შესახებ საჯაროდ ვილაპარაკო, რათა მოწინააღმდეგეს ჩვენი გეგმები არ გავუმხილოო.

ჩერჩილმა შემდეგ აღნიშნა, რომ ინგლისი მარტო აღარ არის. მას ხელს უწყობს ორი დიდი სახელმწიფოს — რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხების მოქმედება, ჩაღდება ხალხის მღელვარება ევროპის დამონებულ ქვეყნებში. შეეხო რა საბჭოთა კავშირისათვის ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მატერიალური დახმარების აღმოჩენის საკითხს, ჩერჩილმა სთქვა, რომ ინგლისისა და ამერიკის დელეგაციები ამჟამად თათბირობენ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან მოსკოვში. „ის დრო, რომელიც მას შემდეგ გავიდა, რაც რუზველტმა და მე ატლანტის ოკეანიდან ჩვენი მიმართვა გავუგზავნეთ პრემიერ სტალინს, გამოყენებულ იქნა განუწყვეტელი აქტიური მოქმედებისათვის ოკეანის ორივე მხარეზე. როცა ინგლისის წარმომადგენლები და მათი ამერიკელი კოლეგები მოსკოვში გაემგზავრნენ, ისინი სავსებით იყვნენ იმის კურსში, თუ სახელდობრ რის მიცემა შეგვიძლია რუსეთისათვის თვიდან-თვემდე, დაწყებული ახლანდელი მომენტიდან, და შემდეგში. საბჭოთა მთავრობას უფლება აქვს იცოდეს, რამდენი იარაღი და საჭურველი შეგვიძლია ჩვენ გავგზავნოთ და რა ვარაუდი შეუძლია მას იქონიოს.

იმისათვის, რომ რუსეთს შეეძლოს მუდამ დარჩეს პირველხარისხოვანი და ბრძოლისუნარიანი სახელმწიფო, ინგლისელმა ხალხმა მეტად სერიოზული მსხვერპლი უნდა გაიღოს, უაღრესად უნდა დაძაბოს თავისი ძალა, ხოლო შეერთებულ შტატებში უნდა განხორციელდეს უდიდესი ახალი მშენებლობა ან ომის საჭიროებას შეეფარდოს არსებული საწარმოები. ინგლისში ეს-ეს არის დამთავრდა „რუსეთისათვის განკუთვნილი ტანკების კვირეული“, რომელმაც საწარმოო აღფრთოვანება გამოიწვია ამ ტანკების დამამზადებელ მუშებსა და მუშა-ქალებში. ამ კვირეულის განმავლობაში გამოშვებული ტანკები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ საჭურველისა, რომელიც ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ უფროდაუფრო მეტი მასშტაბით უნდა უგზავნონ რუსეთს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ჩვენ საბჭოთა კავშირში უნდა ვგზავნოთ არა მარტო ტანკები, არამედ აგრეთვე თვითმფრინავები, ალუმინი, კაუჩუკი, სპილენძი, ნავთი და თანამედროვე ომისათვის აუცილებელი ბევრი სხვა მასალა, რომლის დიდი რაოდენობა უკვე გაგზავნილია. ყოველივე ეს რუსეთში განუწყვეტლივ უნდა ვგზავნოთ და ვგზავნოთ. მაგრამ საქმე ამ მასალების მარტო წარმოება და გადაცემა კი არ არის, არამედ მათი გადაზიდვისა და მიწოდების მოწყობაცაა. ყველა ამ საკითხს ახლა იხილავენ მოსკოვის თათბირზე“.

შეეხო რა ირანის ამბებს, ჩერჩილმა სთქვა, რომ თითქმის სრულიად უმსხვერპლოდ, გასაოცარი სისწრაფით, რუს მოკავშირესთან მჭიდრო კონტაქტით, აღმოფხვრილ იქნენ თეირანიდან ბოროტმზრახველი ელემენტები.

ჩერჩილი მიესალმა ხმელთაშუა ზღვაში და აღმოსავლეთში მყოფ ინგლისის ჯარებს, აგრეთვე თვით ინგლისში მყოფ ჯარებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ბომბავს რომს ინგლისის ავიაცია, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისელებს ისეთივე უფლება აქვთ დაბომბონ რომი, როგორც იტალიელებს გასულ წელს უფლება ჰქონდათ დაებომბათ ლონდონი. ჩვენ,—სთქვა მან,—არ შევყოყმანდებოდით დაგვებომბა რომი ისეთივე ძალით, როგორც ეს შესაძლებელი, ეს ოპერაციები რომ ომის მსვლელობის მიხედვით შესაფერისი და სასარგებლო იყოს.

დასასრულ პრემიერმა სთქვა: მომავალი ზამთარი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გერმანიის დაწოლა რუსეთზე შესუსტდება. ზამთრის დადგომა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ინგლისში შემოჭრის საფრთხემ სავსებით განვლო. მხოლოდ ძალების უკიდურეს დაძაბვას და სრულ ერთიანობას შეუძლია შეუპოვრობასთან ერთად დაეხმაროს ინგლისს ჯეროვანად შეასრულოს თავისი როლი იმ გრანდიოზულ მსოფლიო დრამაში, რომლის მონაწილეც იგი არის. ჩერჩილმა აღუთქვა თემთა პალატას, რომ ეს პირობები დაცულ იქნება.

ინგლისისა და გერმანიის ომი

ლონდონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 30 სექტემბერს, დღისით, ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩაატარეს ოპერაციები ლა-მანშის თავზე და ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროსთან. შერბურის მახლობლად მათ იერიში მიიტანეს ორ შეიარაღებულ სავაჭრო გემზე; ერთერთ მათგანზე ხანძარი გაჩნდა. ინგლისის სანაპირო დაცვის თვითმფრინავმა ნორვეგიის სანაპიროს მახლობლად გემს ტორპედო ესროლა; ტორპედო მიზანს მოხვდა.

30 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები კვლავ დაესხნენ თავს ჰამბურგსა და შტეტინს.

ინგლისის სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ომის დასაწყისიდან საზენიტო არტილერიამ ინგლისში ჩამოაგდო გერმანიის 600 თვითმფრინავი.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 30 სექტემბერს, ღამით, გერმანიის ავიაცია ინგლისში მეტ აქტივობას იჩენდა, ვიდრე უკანასკნელ ხანს. ინგლისის სანაპიროს გააფთრებით დაუშინეს გრინეს კონცხზე (ლა-მანშის საფრანგეთის სანაპირო) დადგმული შორსმსროლელი ქვემეხები. ძლიერ დაბომბეს ინგლისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ორი ქალაქი, მაგრამ მსხვერპლი მცირეა.

რუზველტის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). რუზველტმა უპასუხა რა პრესის წარმომადგენლების შეკითხვას, თუ რა მდგომარეობაში არიან პოლონელები საბჭოთა კავშირში და კერძოდ, თუ რა მდგომარეობაშია მათთვის რელიგიური კულტის შესასრულებლად თავისუფლების მინიჭების საკითხიო, მან განაცხადა: საბჭოთა კონსტიტუცია სარწმუნოებრივ თავისუფლებასთან ერთად რელიგიის წინააღმდეგ გამოსვლის თავისუფლების გარანტიასაც იძლევაო. საბჭოთა კონსტიტუციის გარანტიები რელიგიის მიმართ, განაცხადა რუზველტმა, ანალოგიურია იმ გარანტიებისა, რომელთაც ა. შ. შტატების კონსტიტუცია იძლევა. რუზველტმა წინადადება მისცა კორესპონდენტებს, გაეცნოთ საბჭოთა კონსტიტუციის 124-ე მუხლისა.

საზღვარგარეთი ეხმაურება ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგს მოსკოვში

რუმინეთში

ბერნი, 1 ოქტომბერი (საკდესი). აქ მიღებულია პირველი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოეხმაურნენ რუმინეთში 28 სექტემბერს მოსკოვში გამართულ ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგს. მთელი ცნობები იმას მოწმობენ, რომ მიტინგის მონაწილეთა მგზნებარე სიტყვებს რუმინელი ახალგაზრდობის ფართო ფენებამდე მიუღწევია. მიტინგის მონაწილეთა მიმართვას მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი აქ უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ბერნში მცხოვრები რუმინელი ემიგრანტები იუწყებიან, რომ როგორც კი ბუქარესტის ზოგიერთმა სტუდენტმა მოისმინა მიტინგის მონაწილეთა მიმართვა რადიოთი, ქალაქის განაპირას ერთ სახლში სტუდენტთა საიდუმლო თათბირი შესდგა.

თათბირმა დაადგინა: ჯარისკაცები, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობა გააცნოს ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვას, რათა მაქსიმალურად გააფართოოს მებრძოლთა რიგები ომისა და ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. მიმართვას ამრავლებენ ხელით და ბეჭდავენ არალეგალურ სტამბებში.

ჩეხოსლოვაკიაში

სტოკჰოლმი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც აქ შეიტყეს, მოსკოვში შემდგარმა ახალგაზრდობის ანტიფაშისტურმა მიტინგმა ჩეხოსლოვაკიაში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მიტინგის მეორე დღეს პრაღის, პლზენის, ბრნოს და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქთა ქარხნებსა და ქუჩებში არიგებდნენ ფურცლებს, რომლებიც შეიცავდნენ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვის ტექსტს. პრაღაში ღამით ბევრ ღობეზე, განსაკუთრებით საქარხნო რაიონებში, დიდი ასოებით იქნა წარწერილი მიტინგის მიმართვის ამონაწერები. ბრნოს ერთერთ პარკში რამდენიმე საათს იყო გამოფენილი შემდეგი ლოზუნგი: „ორფეხა მხეცმა ჰიტლერმა დაიმონა და გაძარცვა ჩეხოსლოვაკია. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობავ, ისმინე საბჭოთა ახალგაზრდობის მოწოდება — ჩაები ბრძოლაში! აღსდეგ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ წმინდა და გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად! ფაშიზმი განადგურებულ იქნება! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

პრაღაში ვაგზლის მახლობლად პოლიციელნი დიდხანს აძრობდნენ კედლებზე წარწერას: „ჯალათო ჰაიდრიხ, შენ ვერ დათრგუნავ ჩეხ ახალგაზრდობას!“ ჩეხოსლოვაკიაში ახლა გაჩაღებულ საგაფიცვო მოძრაობაში ახალგაზრდობა აქტიურ როლს ასრულებს.

ქალაქების მუშურ გარეუბნებში, სკოლებსა და სოფლებში ჩეხი ანტიფაშისტები ამჟამად საუბრებს მართავენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უპასუხოს ჩეხმა ახალგაზრდობამ საბჭოთა ახალგაზრდობის მოწოდებას. ამავე საკითხს იხილავენ ჰიტლერელთა მიერ დაშლილ ჩეხურ სასპორტო ორგანიზაცია „სოკოლის“ წევრთა არალეგალურ კრებებზე.

გესტაპოელებმა გააძლიერეს ახალგაზრდობის დაპატიმრება, რათა ჩაჰკლან ჩეხი ახალგაზრდობის გაძლიერებული აქტივობა.

განწყობილება გერმანიის ზურგში და ფრონტზე

ბერნი, 1 ოქტომბერი (საკდესი). გერმანული პრესის ცნობები სულ უფროდაუფრო ნათლად მოწმობენ, რომ, გერმანიაში არსებულ სასურსათო სიძნელეთა და ფრონტზე განცდილი დიდი დანაკლისის შედეგად, გერმანიის მოსახლეობა უკვე აშკარად ამჟღავნებს თავის უკმაყოფილებას ხელისუფალთა პოლიტიკით. გაზეთი „ნოიეს ვინერ ტაგებლატი“ 21 სექტემბერს სწერდა, რომ გერმანიის სარდლობის ცნობებს გერმანიის არმიის დანაკლისის შესახებ ყველგან აშკარა უნდობლობით ხვდებიან. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბევრი არ უჯერის გერმანიის სარდლობის მიერ გამოქვეყნებულ ციფრებს; გაზეთი ცდილობს დაარწმუნოს თავისი მკითხველები, რომ „ახლანდელი ომი უფრო ნაკლებ ზარალს იწვევს, ვიდრე ეს მსოფლიო ომში იყო“. ამაზე წინ გაზეთმა გამოაცხადა, რომ „ყოველი დივიზიის საშუალო ყოველდღიური დანაკლისი მსოფლიო ომის დროს 100 კაცს შეადგენდა“.

გერმანელი ხალხის თვალში რომ რამენაირად გაამართლოს ჰიტლერის „ელვისებური ომის“ გეგმების ჩაფუშვა აღმოსავლეთში, გერმანული პრესა ამ უკანასკნელ ხანს გაძლიერებით მოსთქვამს აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის სიძნელეებზე. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ უჩივის უგზოობასა და კოკისპირულ წვიმებს, გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ უჩივის გერმანიის არმიის მომარაგების სიძნელეებს და „პარტიზანების მიერ წარმოებულ მოუქანცველ ბრძოლას“, გაზეთი „დას რაიხი“ მწუხარებით აღიარებს, რომ „ისეთ ქვეყანას, როგორიც სსრ კავშირია, ერთი ზაფხულის განმავლობაში ვერ დაიპყრობ“. გერმანულ გაზეთებს კვერს უკრავს იტალიური პრესა. მაგალითად, „რელაციონი ინტერნაციონალი“ 14 სექტემბერს გამოაქვეყნა სპეციალური სტატია აღმოსავლეთის ფრონტზე არსებულ სიძნელეთა შესახებ. იტალიური ჟურნალი აღიარებს, რომ „საბჭოთა კავშირთან ომი მძიმე საქმეა და ცოცხალი ძალისა და მასალის დიდ დანაკლისს მოითხოვს“. ამ ომის სიძნელენი იმდენად დიდია, რომ ზოგიერთებს გაზეთის თქმით, ებადებათ განზრახვა „პირი იბრუნონ“.

მოსახლეობის უკმაყოფილება იმითაც კი იჩენს თავს, რომ ქუჩებში ბევრი ბედავს შეხვედრის დროს არ მიესალმოს ერთმანეთს სიტყვებით „ჰაილ ჰიტლერ“. თვით გებელსიც იძულებული იყო ეს ფაქტები აღეარებინა. გაზეთ „დას რაიხის“ 28 სექტემბრის ნომერში გებელსი სწერდა: „გერმანიაში უკვე ორი კვირაა კარტოფილი არ ჰყოფნით. არ არის ყავა, ლუდი, პაპიროსები, და მოსახლეობა ამის პასუხად ერთმანეთს არ მიესალმება სიტყვით „ჰაილ“.

აღმოსავლეთის ფრონტზე ნამყოფი უცხოელი ჟურნალისტები ლაპარაკობენ იმ უიმედობის განწყობილებაზე, რომელიც გერმანელ ჯარისკაცებში სუფევს. ჯარისკაცები ყველგან მხოლოდ ომის სიძნელეებზე და ლაშქრობის საშინელებაზე ლაპარაკობენ. ზემოთდასახელებულ სტატიაში გებელსი სჩივის, რომ: „აღმოსავლეთის ფრონტიდან სამშობლოში მილიონობით მოდის წერილი, რომლებშიც ლაშქრობის სიძნელეებზეა ლაპარაკი“. შვედურმა გაზეთმა „ნურდენს ფრიჰეტმა“ გამოაქვეყნა სტატია ერთი შვედი მეთვალყურისა, რომელიც სწერს: „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებიდანვე გერმანელი ჯარისკაცი გულგატეხილი და სკეპტიკურად განწყობილი გახდა. მან იცის, რომ ახლა ომი გაჭიანურდა და შეიძლება იგი წაავგონ კიდეც. ჯარისკაცებს გულგატეხილობის და ურწმუნობის სულისკვეთება დაეუფლებიათ; მათ აშინებთ დამარცხების შედეგები, შინ ყოფნაც მოენატრათ. ავიაციის, სატანკო ნაწილებისა და წყალქვეშა ფლოტის უდიდესმა დანაკლისმა გააძლიერა გერმანელ ჯარისკაცთა სასოწარკვეთილება. უფროსთა ბრძანებები არავითარ ენტუზიაზმს აღარ იწვევენ. არის ისეთი შემთხვევები, რომ მფრინავები უარს ამბობენ ფრენაზე.

[illegible]

სამშობლოს სიყვარული, სიფხიზლე, ორგანიზებულობა საბჭოთა პატრიოტების საბრძოლო თვისებებია

[illegible]

თეატრებში

საოპერა—3 ოქტომბერს — „დაისი“, 4 ოქტომბერს — „რიგოლეტო“, 5 ოქტომბერს — „სამსონ და დალილა“, **რუსთაველის სახელობის** — 3 ოქტომბერს — „ჯალათი“, 4 ოქტომბერს — „რღვევა“, 5 ოქტომბერს — „კოკვიძე“, **მარჯანიშვილის სახელობის** — 3 ოქტომბერს — „ცხვრის წყარო“, 4 ოქტომბერს — „ბედნიერება“, 5 ოქტომბერს — „კრემლის კურანტები“, 5 ოქტომბერს **დღის წარმოდგენა** „ბერლინის გასალები“ (დასაწყისი დღის 12 ს.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—3 ოქტომბერს — „თოვლის დედოფალი“ (მე-16 აბ.), 4 ოქტომბერს—„თოვლის დედოფალი“ (მე-33 აბ.), 5 ოქტომბერს — „თოვლის დედოფალი“ (მე-15 აბ. დასაწყ. დღის 10 ს., მე-36 აბ. დასაწყ. 1 ს. 30 წ. მე-34 აბ. დასაწყ. სად. 6 ს.), **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** — 3 და 4 ოქტომბერს „ჯადოქარი“ (ხარკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — 3 ოქტომბერს — „სარდალი სუვოროვი“, 4 ოქტომბერს — „პროფესორი მამლოკი“

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „მეორე“, დამკვრელი — „ჰაბუკი ტაიგიდან“, ოქტომბერი — „მუსიკალური ისტორია“, სპარტაკი — „დიდი ვალსი“, ლუქსემბურგის სახ., 26 კომ. სახ. და ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“, განთიადი—„ტორუოკელი თერძი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: [illegible] პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ მდივნის [illegible] განათლება-ჯანმრთელობის და [illegible] ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41403